პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 97 (1267) ○ ხუთშაბათი, 14 აგვისტო, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა IV სპარტაკიადის გუნდური შედეგები

რიგა, 11-24 აგვისტო 1957 წელი

1. რსფსრ (მოსკოვი)	—	58 ქულა
2. უკრაინა	—	81—„—
3. საქართველო	—	92—„—
4. რსფსრ (ოლქ. ნაკრ).	—	110—„—
5. „შრ. რეზერვები“	—	122—„—
6. რსფსრ (ლენინგრადი)	—	137—„—
7. ესტონეთი	—	154,5—„—
8. გელორუსია	—	178,5—„—
9. ლიტვა	—	209—„—
10. აზერბაიჯანი	—	223,5—„—
11. გზათა მიმოსვ. სამინ.	—	224,5—„—
12. ლატვია	—	226—„—
13. სომხეთი	—	242,5—„—
14. ყირგიზეთი	—	271,5—„—
15. თურქმენეთი	—	280—„—
16. ყაზახეთი	—	281—„—
17. უზბეკეთი	—	288,5—„—
18. ტაჯიკეთი	—	308—„—
19. მოლდავეთი	—	314,5—„—

* * *

სურათებზე: საქართველოსა და ლიტვის ჭაბუკ ფეხბურთელთა მატჩი. პირველი ბურთი სტუმართა კარში. მარჯვნივ — ესტონეთისა და საქართველოს კალათბურთელ გოგონათა შეხვედრა. ბრძოლა მაღალი ბურთისათვის.

* * *

სპარტაკიადის მიმდინარეობის ანგარიში იხ. მე-3 გვ.



ამას მოითხოვს ფიზკულტურისა და სპორტის ავტორიტეტი

საბჭოთა სპორტის გიგანტური წინსვლა დღეს მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი. ეს დაადასტურა მელბურნის ოლიმპიურმა თამაშებმა, მრავალმა საერთაშორისო შეჯიბრებამ და განსაკუთრებით უკანასკნელმა — ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა შორის, რომელიც ამას წინათ ჩატარდა მოსკოვში. საბჭოთა სპორტის სიძლიერე მის მასობრიობაში და ხალხთა შორის მეგობრობის კეთილშობილური პრინციპების მტკიცედ გატარებაში მდგომარეობს.

მაგრამ აქა-იქ გამოჩნდნენ ელემენტები, რომლებსაც ძვალ-რბილში გამჯდარი აქვთ წვრილბურჟუაზიული გადმონაშთები და თავიანთი უმგვანო საქციელით აფერხებენ სპორტის წინსვლის საქმეს. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრის ე. სტრელცოვის, ან ცნობილი მძლეოსნების ნ. პონომარიოვასა და გ. ზიბინას საქციელი. მაგრამ შორს რად მივდივართ, განა ჩვენთან არ არიან ისეთი სპორტსმენები, რომლებიც თავიანთი საქციელით არცხვენენ რესპუბლიკას? ასეთია მოჭიდავეების გვანცელაძისა და ჭორიძის მაგალითი, შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს ძველი ფაქტია. დიახ ასეა, მაგრამ სადაც კი წავედით, იგი ყველგან წინ დაგვხვდა. ასევე ითქმის „განთიადის“ სამბისტთა „საგმირო საქმეებზე“ საკავშირო პირველობაზე, მინსკში. ზემოაღნიშნული ამხანაგების მიმართ მაშინვე მიიღეს სათანადო ზომები. ეს საკითხი დამუშავებულ იქნა საზოგადოებებში, კოლექტივებში, მაგრამ, როგორც ჩანს, არასაკმარისად, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში კვლავ ვხვდებით სამარცხვინო ფაქტებს. ლენინგრადში საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრებმა საზოგადოების თავშეყრის ადგილზე დაარღვიეს წესრიგი; პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ბათუმელმა ე. ჩერნიშოვმა სრულიად უსაფუძვლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მთელ მსაჯთა კოლეგიას. ასევე მოიქცა მოჭიდავე ზ. შეყრილაძე. ამას უნდა დავუმატოთ ფეხბურთში საქართველოს პირველობის გათამაშების დროს მომხდარი ამბები, მოფარიკავე მაჭავარიანის მიერ საკავშირო პირველობაზე ჩადენილი აღმაშფოთებელი საქციელი. ზემოჩამოთვლილის შემდეგ ნათელია, რომ ჩვენი მუშაობის ამ უბანზე ყველაფერი რიგზე არაა.

საკითხი ნათელია. სპორტსმენი, რომელიც არ სწავლობს, არ ზრუნავს თავისი ტექნიკური დონის ამაღლებაზე, არ იცავს რეჟიმს და თავის ძალასა და ენერგიას ფუჭსავატობასა და ლოთობაში ფლანგავს, უნდა განიკვეთოს ჩვენი რიგებიდან. და ეს რაც დროულად მოხდება, მით უკეთესია, არ უნდა დავიხიოთ სპორტული ტიტულებისა და დამსახურების წინაშეც. შეიძლება ჯობია კიდეც ზოგიერთი კარგი მონაცემების მქონე, მაგრამ უდისციპლინო სპორტსმენზე უარის თქმა. დაე, გუნდს დააკლდეს, მაგრამ სამაგიეროდ მისი ცუდი გავლენისაგან ვიხსნით მომავალ თაობას.

ცოტას აკეთებენ სპორტული საზოგადოებები სპორტსმენთა იდეურად აღზრდის საქმეში. როცა რომელიმე სპორტსმენი დაარღვევს წესრიგს, ხელმძღვანელები დაუყოვნებლივ არ ახდენენ რეაგირებას ფაქტზე, იმედოვნებენ, რომ იგი შეიძლება როგორმე მიიჩქმალოს, ხოლო თუ არ მიიჩქმალა და სათანადო ორგანიზაციებმა მისი გამომზეურება მოითხოვეს, მაშინ იწყება შუამდგომლობა, წუწუნი, რომ იგი ნიჭიერია, რომ მას გამოასწორებენ და ა. შ. ჩვენ გვგონია ასეთი საქციელით დათვურ სამსახურს ვუწევთ სპორტსმენს.

დასამალი არაფერია, ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელი ძირითადში სპორტსმენთა ტექნიკური შედეგების ზრდით არის დაინტერესებული და ავიწყდება, რომ მისი აღზრდილი, უპირველესად ყოვლისა, უნდა იყოს მოქალაქე, თავისი კოლექტივის პატრიოტი! ვისაც აღზრდის ეს ძირითადი ცნება ავიწყდება, იგი არც უნდა ატარებდეს მწვრთნელის საპატიო სახელს.

ჩვენ გვგონია, რომ საჭიროა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ყველა რგოლში გადავხედოთ სასწავლო გეგმებს და მათში ერთხელ და სამუდამოდ საფუძვლიანად დავუმკვიდროთ წამყვანი ადგილი სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეზე ზრუნვას. მწვრთნელი საქმის კურსში უნდა იყოს, თუ როგორ მიმდინარეობს მისი აღსაზრდელის დავუკაცება არა მარტო სექციის მეცადინეობაზე, არამედ საერთოდ — სკოლაში, სახლში, ამხანაგებთან. კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე რესპუბლიკური კომიტეტი ჩაატარებს მწვრთნელთა სემინარებს მაღალკვალიფიციურ ლექტორთა მონაწილეობით. დიდად დაგვეხმარება ჩვენი სპორტის ვეტერანების გამოსვლები პრესაში, რადიოში.

მნკიერები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. მოწინავენი, ზრდილობიანნი და მზარდნი კი—ასობით და ათასობით. ამის მიუხედავად, ჩვენი ვალია ყოველმხრივ გზა გადავუღობოთ თითო-ოროლა ვიგინდარას, რომელიც სპორტს მიტმასნებია და თავისი უმგვანო საქციელით ძირს უთხრის მის განვითარებას. აქ ორი აზრის არსებობა შეუწყნარებელია — უდისციპლინოები, რომელთაც არ სურთ შეიგნონ თავიანთი შეცდომები, უნდა განიდევნონ ჩვენი რიგებიდან. ამას მოითხოვს ფიზკულტურისა და სპორტის ავტორიტეტი, ამას მოითხოვს სპორტის მოყვარულთა მრავალათასიანი არმია.

საბჭოთა პარაშუტისტების გამარჯვება

ამას წინათ ბრატისლავაში (ჩეხოსლოვაკია) დამთავრდა მსოფლიო პირველობა საპარაშუტო სპორტში.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი ვაჟთა შორის ოთხი სახეობის ჯამში მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა პ. ოსტროვსკიმ. მეორე ადგილზეა ი. ეგლიჩკა (ჩეხოსლოვაკია). საერთო გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს საბჭოთა პარაშუტისტებმა.

აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონის სახელი ქალთა შორის დაისაკუთრა ნ. პრიახინამ (საბჭოთა კავშირი). გუნდურ ჩათვლაში აქაც საბჭოთა პარაშუტისტები იყვნენ წინ.

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის წარმომადგენლებმა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები პ. ოსტროვსკი და ნ. პრიახინა შეამკეს დაფნის გვირგვინებით.

მეორეადგილზეთა წარმატება

დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ საკავშირო ზონალური თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სამტრედიის, ხაშურის, ლენინაკანისა და თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა და ლენინაკანის გუნდები.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:1. ისინი დღეს თბილისში შეხვდებიან ●ზერბაიჯანის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ გუნდს.



2:2

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 12 აგვისტო.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — სკვო (თბილისი) — 2:2 (0:1).

„ბურევესტნიკი“: რუხაძე; გაგუა, კუჭავა, წოწელია; ბეხმეტიევი, მუმლაძე; იაშვილი, ჩიჩუა, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ავაქოვი.

სკვო: ვ. ივანოვი; ჭანჭალეიშვილი, გაიხარაშვილი, კვირკველია; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე, გორეშნევი, კურტანიძე, ა. ივანოვი.

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

მატჩის დასაწყისი კარგს არას უქადდა არმიელთა გუნდს. ჯერ კიდევ პირველი დარტყმიდან გათამაშებული ბურთი სწრაფად გადაეცა წინ გასულ ურთქმელიძეს, რომელმაც ღია პოზიციაში გაიყვანა ჩიჩუა. ამ უკანასკნელმა მაშინვე ძლიერად დაარტყა... მაგრამ არა კარში, არამედ მისგან საკმაოდ დიდი დაცილებით. რამდენიმე წუთის შემდეგ ვ. ივანოვმა „სულზე მოუსწრო“ ზეინკლიშვილის მიერ დარტყმულ ბურთს და გუნდი კვლავ გადარჩა გოლს.

„ბურევესტნიკის“ შეტევები დიდხანს არ გაგრძელებულა. არმიელები მშვიდად და დარწმუნებულად თამაშობდნენ დაცვაში და ყოველთვის ცდილობდნენ ზუსტი მისამართით გადაეცათ ბურთი თავიანთ თავდამსხმელებისათვის. მათი მეოხებით თამაში ჯერ გათანაბრდა და შემდეგ მოწინააღმდეგის კართან გადავიდა. აქ რუხაძემ მეტად ძნელი ბურთი აიღო ხელაძისაგან, ხოლო სწრაფი კომბინაცია მიქაძე-ნორაკიძე-გორეშნევი-ივანოვი, დამთავრდა ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

სკვო-ს უპირატესობა თანდათან უფრო რეალურ ხასიათს ღებულობდა და 22-25-ე წუთებზე რუხაძეს ორი სახიფათო ბურთის აღება მოუხდა კურტანიძისა და ნორაკიძისაგან ფეხებში ჩავარდნით.

45-ე წუთზე სტუდენტთა გუნდის კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ჭანჭალეიშვილმა ძლიერად მიაწოდა შუა საჯარიმო მოედანში და გორეშნევმა გახსნა ანგარიში — 1:0.

არმიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. „ბურევესტნიკის“ მცველები და ნახევარმცველები ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას აძლევდნენ მოწინააღმდეგე ფორვარდებს და უკვე შემდეგ ცდილობდნენ მის წართმევას. ეს კი მათთვის დამატებით სიძნელეს ქმნიდა საერთო ბრძოლის მსვლელობაში.

მე-10 წუთზე მიქაძემ მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლა და აქედან მეორე ბურთი გაიტანა — 2:0.

ამ ანგარიშმა, ეტყობა, ნაადრევი თვითდამშვიდება შეიტანა არმიელთა რიგებში. მოიკლო მონდომებამ ბურთისათვის პრძოლაში, დაიკარგა საერთო სიზუსტე თამაშში.

ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა „ბურევესტნიკმა“ და სრული ძალით შეუტია მოწინააღმდეგეს. გუნდმა ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი მაღალი ბრძოლისუნარიანობა და ენერგია ძნელ მდგომარეობაში.

სტუდენტთა ერთ-ერთი შეტევა 30-ე წუთზე გოლით დაამთავრა ზეინკლიშვილმა, ხოლო მატჩის დასასრულს მისი გადაცემა მარჯვენა ფლანგიდან ცუდად მიიღო ჭანჭალეიშვილმა და საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი.

საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

რ. ქორიძე

* * *

სურათზე: სახიფათო მომენტი „ბურევესტნიკის“ კართან. ბურთისათვის იბრძვიან არმიელთა თავდამსხმელი ივანოვი და მეკარე რუხაძე. უკანა პლანზეა მცველი გაგუა.

კალათბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აგვისტოსათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
„სპარტაკი“	15	10	4	1	39:16	24
ცსკ მო	16	8	5	3	33:18	21
„ზენიტი“	14	6	6	2	28:16	18
„დინამო“ მ.	15	7	3	5	28:20	17
„შახტიორი“	15	7	3	5	15:17	17
„ლოკომოტივი“	13	6	4	3	23:14	16
„ტრრპედო“	14	4	7	3	33:28	15
„დინამო“ თბ.	15	5	2	8	26:44	12
„დინამო“ კ.	13	2	7	4	21:21	11
„მოლდოვა“	14	2	5	7	15:28	9
„კრ. სოვეტოვი“	14	1	6	7	8:22	8
„ადმირალტ“.	16	3	0	13	18:43	6

* * *

⊙ ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი. 12 აგვისტო. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა შეხვედრა საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში.

თამაშობდნენ „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი).

მატჩი მოიგო „დინამომ“ — 2:1.

საქართველოს თასზე

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე მიმდინარეობს საფეხბურთო თასის გათამაშება ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებს შორის.

პირველ კალენდარულ დღეს თამაშობდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და „კოლმეურნე“ (გურჯაანი). ანგარიშით 8:1 გაიმარჯვეს ტრამვაელებმა. წითელწყაროს „კოლმეურნისა“ და მცხეთის გუნდების მატჩი დამთავრდა წითელწყაროელთა გამარჯვებით — 4:1.

მომდევნო კალენდარულ დღეს ბათუმის „დინამოსა“ და ახალციხის № 1 შახტის გუნდების შეხვედრაში გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ დამატებით დროში — ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ლანჩხუთის „კოლმეურნემ“ თავის მინდორზე დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო“ — 5:1, ხოლო ფოთის „განთიადმა“ მოუგო საჩხერის „სპარტაკს“ — 5:0. ჭიათურის მაღაროელებმა დაამარცხეს რუსთავის „მშენებელი“ — 3:1.

საინტერესო მატჩი [illegible] „ბურევესტნიკი“ — „[illegible] თიადსა“ და ზუგდიდის „ოდიშს“ შორის. მიუხედავად იმისა, რომ კასპელი ფეხბურთელები რესპუბლიკურ პირველობაზე თამაშობენ III ჯგუფში, ხოლო ზუგდიდელები I ჯგუფში, კასპელებმა მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 3:0. მახარაძის „კოლმეურნემ“ გამარჯვება მოიპოვა ტყვარჩელში ადგილობრივ ფეხბურთელებთან — 4:0.

მორიგ გამარჯვებას მიაღწია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა წითელწყაროს „კოლმეურნესთან“ — 10:3. ლანჩხუთის „კოლმეურნემ“ თავის მინდორზე დაამარცხა „განთიადი“ (ლაჯანურჰესი) — 6:0. სამტრედიის საორთქლმავლო დეპოსა და წყალტუბოს ფეხბურთელთა მატჩში გაიმარჯვეს სამტრედიელებმა — 4:3.

ჭურნირი პორჯორიქში

მეოთხე ტური აღინიშნა პეტროსიანის შესანიშნავი გამარჯვებით. პახმანთან პარტიაში მან ახალ თეორიულ გაგრძელებას მიმართა. ცნობილი ჩეხი თეორეტიკოსი ვერ გაერკვა მდგომარეობაში და დაცვაზე გადავიდა. პეტროსიანმა მოხდენილად შეწირა ლაზიერი ეტლსა და კუში და მძაფრი იერიში განავითარა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა პახმანის მეფისათვის. ასევე ენერგიულად უტევდა როსეტოს ბრონშტეინი. საბჭოთა გროსმაისტერს პაიკის შეწირვით სურდა მეფის დალაშქვრა, მაგრამ არასწორად ითამაშა და მისმა იერიშმა სიმძაფრე დაკარგა. ახლა თითქოს როსეტოს უნდა ეთამაშა მოგებაზე, მაგრამ მოულოდნელად მან ბრონშტეინს აიმი შეთავაზა, რომელიც გროსმაისტერმა, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ მიიღო.

სიცილიური დაცვის რაუზერის ვარიანტში, რომელიც დიდადაა გავრცელებული თანამედროვე სატურნირო პრაქტიკაში, მატანოვიჩმა (შავებით) ტალთან პარტიაში გამოიყენა სრულიად უცნობი, ერთი შეხედვით საეჭვო გაგრძელება — მან მსუბუქი ფიგურა შეწირა სამ პაიკში. პარტია წარიმართა გაუკვალავი გზით. ტალმა, რომელიც არაა ჩვეული დაცვაში თამაშს, კონტრშეწირვა განახორციელა და თამაში უკიდურესობამდე დამუხტა, გართულებათა შემდეგ პოზიცია გამარტივდა და გადაიდო. მატანოვიჩს, რომელსაც ორი ეტლი და ამდენივე პაიკი გააჩნია ეტლისა და ორი მსუბუქი ფიგურის წინააღმდეგ, მოგების დიდი აქვს, ყოველ შემთხვევაში, თუ აქ საერთოდ არის მოგება — იგი ძნელად მისაღწევია. პირველი დამარცხება განიცადა 15 წლის ფიშერმა, რომელსაც მოუგო ბენკომ. ფიუშტერი დაავადებულია ციტნოტის სენით, რამაც მას უკვე სულ ცოტა 1,5 ქულა დაეკარგვინა. მან ავერბახთან პარტიაშიც დაკარგა ფიგურა ციტნოტში და დამარცხდა. ენერგიულად იბრძოდა საბო შერვინის წინააღმდეგ და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

გადადებულ პარტიებში სანგინეტის სრულიად უიმედო მდგომარეობა აქვს გლიგორიჩთან, ხოლო ნეიკირხს — ლარსენთან. რთულ პოზიციაშია შეწყვეტილი პანოკორდოსოს პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ლარსენი თამაშის განუახლებლად დანებდა გლიგორიჩს, ხოლო მეორე პარტიაში ბულგარელ ნეიკირხთან მან ზუსტი თამაშით გამარჯვებას მიაღწია.

პირველი დამარცხება განიცადა ტალმა, რომელსაც შეუპოვარი დაცვის მიუხედავად მოუგო მატანოვიჩმა. ავერბახმა ადვილად მოახდინა ინიციატივის რეალიზება ნეიკირხთან პარტიაში. ფიშერმა ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება როსეტოსთან და აიმით დაკმაყოფილდა. ასევე მოუვიდა გლიგორიჩს სანგინეტისთან.

ორ პარტიას ამთავრებდა ფილიპინების ჩემპიონი 17 წლის კორდოსო. სანგინეტისთან მან აიმს მიაღწია, ხოლო პანოსთან დამარცხდა. შერვინმა მოუგო დეგრეიფს, ოლაფსონ-მატანოვიჩის შეხვედრა აიმით დამთავრდა.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან ტ. პეტროსიანი და ი. ავერბახი — 3 ქულა თვითეულს. დ. ბრონშტეინს, ო. პანოს, ფ. ოლაფსონს, მ. ტალს, პ. ბენკოს, ა. მატანოვიჩსა და ს. გლიგორიჩს აქვთ 2,5 ქულა თვითეულს.



4. „საიდუმლოებათა“ საფუძვლები

მოგითხრობთ მოწინავეთა გამოცდილების შესახებ

მაგრამ, ყველაფერი ეს — ვერც მონდომებული, ენთუზიასტი ხელმძღვანელი, ვერც დახმარება ზევიდან და ერთეულ სპორტსმენთა შესაძლებლობანი ვერ უზრუნველყოფდა ფიზკულტურული მუშაობის ასე ფართოდ და წარმატებით გაშლას, რომ მათ საფუძველს არ უმტკიცებდეს მთავარი — მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი აქტივის საქმიანობა, რომელსაც კოლმეურნეთა ფართო მასებში აქვს ფესვები გადგმული.

ფარცხანაყანევის ფიზკულტურული კოლექტივის საზოგადოებრივ აქტივში ადგილი არა აქვს ისეთ წევრს, რომელიც მასზე მინდობილი საქმისადმი ნამდვილი უანგარო სიყვარულით არ არის გამსჭვალული. აი, თუნდაც სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე — ე. ფხაკაძე. მისთვის სპორტი და ფიზკულტურული მუშაობა მარტოოდენ ვალის მოსახდელი საქმე კი არ არის, არამედ, უპირველესად ყოვლისა, ერთგული თანაშემწე კოლმეურნეთა ფიზიკურ გამოწრთობაში და შრომითი მაჩვენებლების ამაღლებაში. ამიტომაა, რომ გამგეობის თავმჯდომარე ყოველთვის ხალისით ხვდება ახალგაზრდობის ყოველგვარ ინიციატივას სოფლად ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის. და მთელის არსებით უწყობს მათ ხელს. იგივე ითქმის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანზე — შ. ციბაძეზეც, რომელსაც კარგად ესმის, რომ ეს კეთილშობილური უბანი კომკავშირის ღვიძლი საქმეა და ამის შესაბამისად წარმართავს მუშაობასაც. ჭეშმარიტად დიდი წვლილი მიუძღვით სოფლად ფიზკულტურული მუშაობის აღორძინების საქმეში ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებს მ. ჯანგველაძეს, თ. კილაძეს, აგრეთვე გ. ციბაძეს, მ. ნიქაბაძესა და სხვებს.

საზოგადოებრივი აქტივის ქმედითუნარიანობასა და გავლენას უნდა მიეწეროს სოფლის ფიზკულტურული მუშაობის წარმატებათა სხვა საფუძველიც — კარგი მატერიალური ბაზა, ურომლისოდაც ვერც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი შორს ვერ წავა. ეს კარგად იციან ფარცხანაყანეველებმა და მას დროულად მიაქციეს ყურადღება. ყოველი ახალი სპორტული სექციის ჩამოყალიბებას აქ უცილობლად თან სდევდა სათანადო ბაზის მშენებლობაც, რომლის გაცხოველებული ტემპები სწორედ საზოგადოებრივი აქტივის ქმედითუნარიანობით იყო შთაგონებული: მშენებლობას სათავეში ედგა სექციის ხელმძღვანელობა. მასალით, ტრანსპორტით და სამშენებლო იარაღებით ამარაგებდა კოლმეურნეობის გამგეობა, ხოლო თვით მშენებლობაში მონაწილეობდნენ ამ სექციაში მომეცადინე წევრები, სოფლის ახალგაზრდობა. ამ მისაბაძი შრომითი პათოსის მეოხებით შეიქმნა ფარცხანაყანევში ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი, ტანვარჯიშული ბაქანი, სახტომი ორმო, შეძენილ იქნა ტანვარჯიშული და მძლეოსნური იარაღები. ეს ბაზები სოფლის ფიზკულტურული კოლექტივის შემდგომ წარმატებათა საწინდარიცაა.

ფარცხანაყანეველ ფიზკულტურელებს მათს მიერ მოპოვებულ წარმატებებზე თუ ჩამოუგდებთ ლაპარაკს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით გიპასუხებენ:

— რა ისეთი განსაკუთრებული წარმატებებია?! დიდი არაფერი...

ეს, ერთის მხრივ, გულწრფელი პასუხია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარცხანაყანევში ფიზკულტურული მუშაობის დღევანდელი დონე განვლილ ეტაპად და უკვე ჩვეულებრიობის ფარგლებში ჩამჯდარ საქმედ მიაჩნიათ სოფლელებს. ისინი ახლა მას მომავლის თვალსაზრისით ჰვრეტენ და ამიტომ, ცხადია, მიღწეული აღარ აკმაყოფილებთ.

შ. ჯულელი

დასასრული. დასაწყ. იხ. „ლელო“ № 93, 94, 95.

ტურნირის ფინალის წინ

დასასრულს უახლოვდება ფრენბურთელთა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში.

ტურნირის მეორე დღეს საქართველოს ჭაბუკებმა ადვილად მოუგეს შეხვედრა ყირგიზეთის სპორტსმენებს — 3:0. დაძაბულად მიმდინარეობდა ლიტვისა და მოსკოვის ჭაბუკთა შეხვედრა. გუნდებმა ორ-ორი პარტია მოიგეს და მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში სძლიეს მოსკოველებმა მეტოქეებს — 3:2.

ტურნირის მესამე დღეს ჩვენი რესპუბლიკის გოგონების გუნდს მხოლოდ პირველ პარტიაში გაუწიეს მცირე წინააღმდეგობა ბელორუსელმა ფრენბურთელებმა. შემდგომში მათ ადვილად მოიგეს ორი პარტია და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

ჭაბუკთა სხვა გუნდებიდან გამარჯვება მოიპოვეს: ლატვიამ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა, „შრომითმა რეზერვებმა“, გზათა მიმოსვლის სამინისტრომ, ბელორუსიამ, რსფსრ-მ (ოლქების ნაკრები), ყირგიზეთმა და ტაჯიკეთმა.

გოგონათა გუნდებში გაიმარჯვეს ყაზახეთმა, უკრაინამ, მოსკოვმა, ლენინგრადმა, „შრომითმა რეზერვებმა“, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და აზერბაიჯანმა.



სურათზე: ესტონეთისა და საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა შეხვედრის მომენტი ესტონელთა კართან.

მთავარი წინაა

წყალბურთელთა ტურნირის მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსი და რუსეთის ფედერაციის ნაკრები გუნდების შეხვედრა. მართალია, ეს ორი გუნდი ერთ ქვეჯგუფში იბრძვის და თავიანთ მეტოქეებზე იმდენად ძლიერი არიან, რომ მათი გადასვლა ფინალურ ჯგუფში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ უძლიერესთა მატჩი ერთმანეთს შორის მეტად პრინციპული ხასიათისა იყო. გარდა ამისა, ქვეჯგუფში ჩატარებული შეხვედრის ანგარიში ავტომატურად გადადის ფინალურ შეჯიბრებაში და, ცხადია, გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორივე კოლექტივისათვის.

მოწინააღმდეგეთა სუსტი ადგილების ძებნაში კარგა დრო გავიდა, შედეგი კი არ ჩანდა, თუმცა ამ სუსტი ადგილის აღმოჩენა ძნელი არ იყო: მეძმარიაშვილი სისწრაფეში ჯობნიდა თავის დარაჯს და ხშირად გადიოდა წინ. მაგრამ მოგების ეს გზა გუნდმა რატომღაც ვერ შენიშნა დროზე. ანგარიშის გახსნა წილად ხვდა ვადაჭკორიას, რომელმაც 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში. ტაიმის დამთავრებამდე ბეუაშვილმა გაიტანა მეორე გოლი.

შესვენების შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს, საქართველოს გუნდი დაკმაყოფილდა მიღწეულით და შეანელა იერიშები. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო მიმინოშვილმა კიდევ ერთი ბურთის გატანა. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ქართველმა წყალბურთელებმა.

არის ყველა საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ საქართველოს გუნდი გავა ფინალში, მაგრამ იქ მთელი მონდომებისა და ძალების მაქსიმალური დაძაბვა იქნება საჭირო მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდებთან ბრძოლაში.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: საქართველო-ესტონეთი 20:0, თურქმენეთი-ყაზახეთი — 5:3, უკრაინა-აზერბაიჯანი — 9:4, „შრომითი რეზერვები“-სომხეთი — 5:3, უკრაინა-თურქმენეთი — 14:2.



ბრძოლაში ჩაებნენ უძლიერესნი

პირველობის პრეტენდენტ გოგონათა 10 გუნდი ჩოგბურთის ფინალურ თამაშებში ორ ჯგუფად გაიყო. პირველ მათგანში შევიდნენ მოსკოვი, რუსეთის ფედერაციის ნაკრები, ლიტვა, უკრაინა და ლატვია. მეორეში — ესტონეთი, საქართველო, ბელორუსია, ლენინგრადი და სომხეთი.

ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის ბრძოლის ბედი პირველ ჯგუფში უნდა გადაწყვიტოს მოსკოვისა და უკრაინის გუნდების შეხვედრამ. მეორე ჯგუფში ამავე მიზნისათვის იბრძვიან ესტონეთისა და საქართველოს გუნდები. მათ ფინალამდე დამარცხება არ ეშინოდათ.

ჭაბუკთა ფინალურ ტურნირში განაწილებისას კენჭისყრამ საქართველოს კოლექტივი მოსკოვისა და ლენინგრადის ძლიერ გუნდებთან მოაქცია, მაგრამ არანაკლებ ძალას წარმოადგენს მეორე ჯგუფში მოხვედრილი ესტონეთისა და უკრაინის გუნდებიც.

მეორე ჯგუფში ლიდერობენ მოსკოველები, რომლებსაც ორი საპასუხისმგებლო შეხვედრა ლენინგრადთან და ლიტვასთან უკვე მოგებული აქვთ. პირველ ჯგუფში არა თუ გუნდური, არამედ არც ერთი ინდივიდუალური წაგება არა აქვს ესტონეთის კოლექტივს, რომელმაც გაინაღდა მოგება რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსიის ძლიერ გუნდებთან.

თავიანთ გუნდებს დაუბრუნდნენ და უკვე ჩაებნენ თამაშში უძლიერესი ჩოგბურთელები — ესტონელი სპორტის ოსტატი ლეიესი, აზერბაიჯანელი ლიხაჩოვი და საქართველოს ნაკრების წევრი მუსაელიანი. მათ უკვე მოუგეს თავიანთ მოწინააღმდეგეებს და თავიანთ გუნდებს ქულები შემატეს.

შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: გოგონები — რუსეთის ფედერაციის ნაკრები-უკრაინა — 1:6, უკრაინა-ლატვია — 7:0, ესტონეთი-ლენინგრადი — 7:0, საქართველო-სომხეთი — 6:1. ჭაბუკები: ესტონეთი-რუსეთის ფედერაცია — 7:0, უკრაინა-ლატვია — 6:1, მოსკოვი-ლენინგრადი — 6:1, საქართველო-სომხეთი — 7:0.

ორი მე-8 ნომრის «ბენეფისი»

ამბობენ, სახლში საკუთარი კედლებიც გეხმარებაო, მაგრამ ჩვენს გუნდებს საკუთარი კედლების დახმარება ჯერჯერობით არ ჰირდებათ ალბათ იმიტომ, რომ წინასწარ შეხვედრებს ისინი შედარებით სუსტ გუნდებთან ატარებენ. პირველმა მატჩმა საქართველოს გოგონათა გუნდის მრავალრიცხოვანი ქომაგები საგონებელში ჩააგდო. მართალია, გუნდმა მოიგო შეხვედრა, მაგრამ ეს არ იყო თამაში, რომელიც მრავალგზის ჩემპიონს ეკადრებოდა. მეორე მატჩი საქართველოს გუნდმა ესტონეთის ძლიერ კოლექტივთან უკვე ჩემპიონის სტილში ჩაატარა და გამარჯვება, რომელიც მან მოიპოვა ანგარიშით 53:27, იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველოს გოგონები შეეცდებიან საპატიო ტიტული არც წელს გაუშვან ხელიდან.

საქართველოსა და ესტონეთის გუნდების შეხვედრა ორი მე-8 ნომრის, თბილისელი მერი კაკაბაძისა და ესტონელი ანე მაანიკის „ბენეფისს“ წარმოადგენდა. მერი ერთი სტილის მოთამაშეა, ესტონელი კი — სულ საწინააღმდეგო. კაკაბაძე ვერცხლისწყალივით მოქმედებს მოედანზე, მიანიკი კი დინჯად და აუჩქარებლად. მერი ყველა შტეევის აქტიური მონაწილეა, ანე კი უკანა ხაზიდან მოქმედებს, პირველს პარტნიორები უქმნიან იერიშის საშუალებას, მეორე კი თვითონ ათამაშებს სხვებს. და მაინც კაკაბაძესა და მიანიკს ამ შეხვედრაში ბევრი რამ ქონდათ საერთო. როგორც ერთი, ისე მეორე, თავისი კოლექტივის წამყვან ძალას, მთავარ ფიგურას წარმოადგენდა. საქართველოს გუნდმა მოიგო ეს შეხვედრა და მე-8 ნომრების ამ თავისებურ დუელში უპირატესობა მერის მხარეს დარჩა.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდი ტურნირში მესამე დღეს ჩაება. თავისი ორდღიანი დასვენება საქართველოს კალათბურთელებმა გაამართლეს იმით, რომ მოუგეს მატჩი ტაჯიკეთს ანგარიშით 100:31 და თავისებური რეკორდი დაამყარეს. მართალია, ერთი საათის შემდეგ ამ რეკორდის მოხსნა უკრაინის გუნდმა სცადა (თურქმენეთის წინააღმდეგ), მაგრამ მას ახალ რეკორდამდე 9 ქულა დააკლდა. ისე კი უკრაინელი სპორტსმენები რეკორდისათვის ბრძოლაში ჯერჯერობით მეორე ადგილს ინარჩუნებენ — 92:48. სხვა მხრივ კიეველ კალათბურთელებს ტურნირში ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვთ. მათ მოუგეს ორ მთავარ კონკურენტს — მოსკოვისა და ლატვიის გუნდებს და, როგორც ამბობენ, ფინალში გასვლა მოგებული თამაშით უკვე „ჯიბეში“ აქვთ.

მეორე ფინალისტი ამ ჯგუფში გამოვლინდა 12 აგვისტოს გვიან საღამოთი. ლატვიის კოლექტივმა კარგ სტილში, უაღრესად მწვავე ბრძოლაში დაამარცხა მოსკოვის გუნდი—60:43. ეს მატჩი ჩემპიონატში ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო და აზარტული გამოდგა. მთელი თამაშის 40 წუთის მანძილზე მაყურებელთა გამაყრუებელი შეძახილებისა და გამამხნევებელი ყვირილის ქვეშ მიდიოდა. „სარაუი“ (მიდი! — ლატვიურად) — ისმოდა ტრიბუნებიდან ლატვიელთა მწყობრი შეძახილები და მას ბანს აძლევდა მოსკოველთა მქუხარე ტაში. მაგრამ ჩემპიონს — მოსკოვის კოლექტივს ამჯერად გაუჭირდა, რადგან რიგელ სპორტსმენებს ფინალში მოხვედრის შეუნელებელი სურვილი აღმოაჩნდათ. მათ პირველივე წუთებიდან წაიყვანეს ანგარიში და მსაჯის საფინალო სასტვენამდე ინიციატივა არ გაუშვიათ ხელიდან. ჩემპიონმა დაკარგა პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსები. უკეთეს შემთხვევაში მას მოუხდება ბრძოლა მე-9 ადგილისათვის. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს.

რა შესაძლებლობები აქვთ გუნდებს ფინალური შეხვედრების წინ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — უკრაინის ჭაბუკთა კოლექტივს წარმატების ყველა შანსი აქვს. როგორც ჩანს, უკრაინელებმა გასული წლის წარუმატებლობა (მე-9 ადგილი) მტკივნეულად განიცადეს და წელს რევანშის აღებას აპირებენ.

რა აქვთ განსაკუთრებული უკრაინელ კალათბურთელებს? გუნდი მოედანზე მოქმედებს უაღრესი მონდომებით, მოთამაშეები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული. აი მაგალითად, ა. პუტიატინი—№ 5. იგი ყოველმხრივ ჩამოყალიბებული კალათბურთელია, უაღრესად ტექნიკური და ჭკვიანი. პუტიატინი საშუალო სიმაღლისაა, მაგრამ იგი ხტომაში არ ჩამოუვარდება რომელიმე მაღალი ტანის კალათბურთელს. იგი წარმატებით იბრძვის ფარჭვეშ და შესანიშნავად ესვრის კალათში საშუალო და შორი დისტანციებიდან. უკრაინელთა წარმატების საიდუმლოება მათ კოლექტიურობაშია. გუნდის ყველა წევრი ერთნაირი თავგანწირვით იბრძვის და სწორედ ამას მოაქვს მათთვის საჭირო ქულები.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

ბაქო. 12 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ნეფტიანიკი“ (ბაქო)—„ლოკომოტივი“ (ქუთაისი).

თამაში დაიწყო მასპინძელთა ძლიერი იერიშით და მე-11 წუთზე „ნეფტიანიკის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა აბილ-ზადემ გაიტანა ბურთი კარში — 1:0.

ტაიმის დარჩენილ დროში რკინიგზელებმა გაათანაბრეს თამაში და დასასრულს მნიშვნელოვან უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა.

მეორე ტაიმის მე-6 წუთზე „ლოკომოტივის“ მარცხენა გარემარბმა დათუნაშვილმა კუთხიდან მოწოდებული ბურთი თავით გაგზავნა კარში — 1:1. ამის შემდეგ ბაქოელებს ჰქონდათ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მიკუჩაძის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია ქუთაისელთა მეკარე ურუშაძემ.

ამან კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეიტანა ლოკომოტიველთა თამაშში და გუნდის ერთ-ერთი შეტევა დამთავრდა მეორე გოლით „ნეფტიანიკის“ კარში.

მატჩი მოიგო ქუთაისის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 2:1.

თამაშის არსი — ბურთის გატანაა

ზათა მიმოსვლის სამინისტროსა და საქართველოს გუნდები მიმდინარე სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირში პირველი ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან. მათი შეხვედრა ქვეჯგუფში შედგა გუშინ „დინამოს“ სტადიონზე.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდს თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ეპყრა ინიციატივა, მაგრამ ეს იყო ფუჭი, უნაყოფო უპირატესობა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მატჩის მოგება მათ უნდოდათ „ქულებით“, საერთო უპირატესობით, მაგრამ ფეხბურთის მატჩში ქულებით გამარჯვება არ არსებობს. მოგება აქ მხოლოდ გატანილ გოლს მოაქვს. აი ეს კი ქართველმა ფეხბურთელებმა დაივიწყეს. ისინი 70 წუთის განმავლობაში (ტაიმის ხანგრძლივობა 35 წუთი) გულმოდგინედ ატარებდნენ ბურთს. ატარებდნენ თავდამსხმელები, ნახევარმცველები და მცველებიც კი. ვინ იცის, რამდენი შემთხვევა იყო, როცა გელოვანი-შვილს, ვაჩაძეს, ჩოგოვაძეს, მოროზოვს და სხვებს ერთადერთი სწორი ვარიანტი ჰქონდათ შექმნილ სიტუაციაში — ბურთის გადაცემა თავისუფალი პარტნიორისათვის, ისინი კი ჯიუტად განაგრძობდნენ ბურთის „ღეჭვას“.

მოწინააღმდეგის თამაშის ასეთი მანერა სავსებით უწყობდა ხელს ნორჩ რკინიგზელებს. ისინი ყოველთვის ასწრებდნენ ბურთზე გასვლას. ასწრებდნენ იმიტომ, რომ აგვიანებდნენ ჩვენი ფეხბურთელები. ამას დაემატა თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმები და გზათა მიმოსვლის სამინისტროს გუნდმა შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა — მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲚᲔᲚᲘᲡ“ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ



გ. ლობჟანიძის მსოფლიო რეკორდი

„სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაზე, რომელიც მინსკში მიმდინარეობს, სპორტის ოსტატმა გ. ლობჟანიძემ (რსფსრ) დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. გ. ლობჟანიძემ (მსუბუქი წონა) აჭიმა 130 კგ შტანგა, რითაც 1,5 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.



გამოჩენილი სპორტსმენი და მეცნიერი

გ. ნიკოლაძის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო

✦

ყველას, ვინც კი იცნობდა პროფესორ, გიორგი ნიკოლაძეს, სამუდამოდ დარჩა იგი მეხსიერებაში, როგორც მგზნებარე გულისა და დიდი ბუნების ადამიანი, საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი, გამოჩენილი მათემატიკოსი და მაღალნიჭიერი პედაგოგი, შესანიშნავი ინჟინერ-მეტალურგი და ტანმოვარჯიშე, როგორც საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი. განცვიფრებას იწვევს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა, კეთილშობილება, ენერგია და სიყვარული, რომლითაც იგი გამსჭვალული იყო სამშობლოსადმი.

პროფესორ გ. ნიკოლაძის ნათელი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერებასა და სპორტთან, სადაც მან წარუშლელი კვალი დატოვა.

გ. ნიკოლაძე დაიბადა 1888 წლის 29 ივლისს (ძველი სტილით) სოფელ ღიდი ჯიხაიშში, XIX საუკუნის 60-იან წლების გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის ოჯახში. მას ადრე გაეღვიძა მისწრაფება სპორტისადმი.

13 წლის ასაკში იგი, შვეიცარიაში ყოფნის დროს, დასთან ერთად ადის ტეტ დე ჟეანის (2235 მ) მთაზე. ამავე ხანებში იგი ეწაფება ტანვარჯიშს თბილისის პირველ გიმნაზიაში ჩეხი ტანმოვარჯიშის ა ლუკეშის ხელმძღვანელობით. ამავე წლებში გიორგი ეცნობა მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობებს და ჭადრაკს.

სტუდენტობისას, რომელიც გ. ნიკოლაძემ გაატარა 1906-1913 წლებში პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, იგი სპორტისადმი სერიოზულ ინტერესს ამჟღავნებს.

1910 წელს გ. ნიკოლაძე როგორც პეტერბურგის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, მონაწილეობდა სოფიაში გამართულ ტანმოვარჯიშეთა შეკრებაზე, 1912 წელს კი წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა პრაღის შეკრებაზე, სადაც დიდი დიპლომი დაიმსახურა ვარჯიშების ოსტატურად შესრულებისათვის, ხოლო მძლეოსნურ ექვსჭიდში მიიღო დიდი დიპლომი და დაფნის გვირგვინი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გ. ნიკოლაძე, როგორც ინჟინერ-მეტალურგი მუშაობს დონბასში (ყოფ. იუზოვკასა და ენაკიევოში), სადაც აყალიბებს ტანვარჯიშულ წრეებს. აი რას წერს გ. ნიკოლაძის ამ დროის მოღვაწეობის შესახებ მისი უახლოესი მეგობარი, ამჟამად საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ი. ბარდინი:

„იგი დიდ დროს უთმობდა ტანვარჯიშს, მათემატიკას, ან... ლექსების კითხვას და წერასაც კი. მაგრამ ეს ყველაფერი როდია: მას აუცილებლად სურდა ამ სფეროებში სხვებზეც მოეხდინა გავლენა. და ის ამას აღწევდა კიდეც. ორ ქარხანაში, სადაც მე და გიორგი ნიკოლოზის-ძეს ერთად გვიმუშავნია, მან ჩამოაყალიბა ტანვარჯიშული წრეები, რომლებიც ახალგაზრდობის დიდი სიმპათიებით სარგებლობდა. ამ წრეების წარმატება იმითაც აიხსნება, რომ თვით გიორგი ნიკოლაძე მრავალმხრივ დაჯილდოებული ტანმოვარჯიშე, კარგი და საქმისადმი ერთგული პედაგოგი იყო“.

1918 წელს გ. ნიკოლაძე ბრუნდება საქართველოში, სადაც სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან ერთად იბრძვის ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ამასთან იგი არ ივიწყებს საყვარელ სპორტს.

1923 წლის 28 აგვისტო საბჭოთა სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც საბჭოთა ალპინიზმის დაბადების დღე. ქართველი ალპინისტების ჯგუფმა 18 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის 5 ქალი იყო, გ. ნიკოლაძის მეთაურობით დაიპყრო ყაზბეგი. ორი წლის შემდეგ კი, 1925 წლის 12 აგვისტოს, წარმატებით იქნა დაგვირგვინებული შტურმი იალბუზზე.

1924 წელს ალპინისტებმა გ. ნიკოლაძესთან ერთად ჩამოაყალიბეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომელსაც შემდეგ მოუწყვია არა ერთი ექსპედიცია კავკასიონის მწვერვალებზე. 1926 წელს გ. ნიკოლაძემ ლონდონში, ინგლისის ალპურ კლუბში საჯარო მოხსენება წაიკითხა საბჭოთა ალპინისტების წარმატებათა შესახებ.

გ. ნიკოლაძემ პირველმა გამოთქვა აზრი, რომ საქართველოში, როგორც მთიან ქვეყანაში, საჭიროა ფართოდ დაინერგოს სამთო-სათხილამურო სპორტი. 1929-1930 წლებში ბაკურიანში, რომელსაც იგი შესანიშნავ სამთო-სათხილამურო ბაზად თვლიდა, გ. ნიკოლაძე აწყობს მოთხილამურეთა პირველ შეჯიბრებებს. დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. ნიკოლაძეს ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხშიც.

1931 წელს ზამთარში დიდუბის ფერომარგანეცის საცდელი ღუმელის ავარიის დროს, იგი ორი დღე არ გამოსულა საამქროდან, გაცივდა და ფილტვების ანთებით გახდა ავად. იმავე წლის 5 თებერვალს, 43 წლის ასაკში გ. ნიკოლაძე გარდაიცვალა.

საბჭოთა საქართველოს აქვს თავისი მეტალურგიული ქარხნები რუსთავსა და ზესტაფონში, ჰყავს გამოჩენილი მათემატიკოსები, ხოლო ქართველმა სპორტსმენებმა სახელი გაითქვეს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც — ყველაფერი ეს გ. ნიკოლაძის მისწრაფება იყო.

თ. გიორგაძე

* * *

ეს სურათი პირველად ქვეყნდება პრესაში — გ. ნიკოლაძე (მარცხნივ) ჭადრაკს ეთამაშება პროფესორ კ. ბაქრაძეს.

ქართლის ზონაები

კასპის ახალ საჭიდაო დარბაზში დამთავრდა „კოლმეურნის“ რეს-პუბლიკური პირველობის ზონალური (ქართლის ზონა) ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის, გორის, მცხეთის, ხაშურის, ბორჯომის, დმანისის, ქარელის, გარეუბნის, თიანეთის რაიონის წარმომადგენლები.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება წილად ხვდათ კასპელ მოჭიდავეებს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გორის, მესამეზე — გარეუბნის გუნდები. წონითს კატეგორიებში გაიმარჯვეს ზ. მონახელიძემ (მცხეთა), ლ. კაციაშვილმა (კასპი), ა. ოდიშვილმა (გარეუბანი), გ. ნავროზაშვილმა (კასპი), ა. ყულიჯანოვმა (ხაშური), ი. ღვინაძემ (კასპი) და ა. ვარდოშვილმა (გარეუბანი).

კ. ამაშუკელი

სურათზე: კასპის საჭიდაო დარბაზის სარბიელზე კასპელ გ. მარიამიძისა (მარცხნივ) და გორელ ვ. ნასყიდაშვილის შეხვედრა. გაიმარჯვა პირველმა.

ფოტო გ. მალაციძისა.

„სპორტი კარგ მაგალითს იძლევა“

მძლეოსნობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი ინტერესი, ასეთი აჟიოტაჟი. „საუკუნის მატჩს“, რომელიც დაერქვა მას ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, თანამედროვე მძლეოსნობის წარმატებათა რეზიუმე უნდა გაეკეთებინა. „საუკუნის მატჩს“ ერთხელ კიდევ უნდა გადაეხედა ძალთა დისპოზიციისათვის მძლეოსნურ ფრონტზე. სწორედ ამიტომ მოაწყდა ერთბაშად მოსკოვს ამდენი უცხოელი. 135 გაზეთი და ჟურნალი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მოუთმენლად ელოდა ცნობებს თავისი 360 კორესპონდენტისაგან. სტენოგრაფისტები დილიდან გვიან დაღამებამდე მორიგეობდნენ საბრძოლო პულტზე და უსმენდნენ მოსკოვს.

ცენტრალური სტადიონის პრეს-ბიურო საფუტკრეს გავდა. საქმიანად, სერიოზული გამომეტყველებით ჩაჭიკრიკეტებდნენ საბეჭდ მანქანებს გერმანელები. ტელეფონის აპარატს არ შორდებოდნენ ამერიკელები — მათი გაბმული ინგლისური ისმოდა ყველგან, ყოველ კუთხეში. ვერ ფარავდნენ თავიანთ გრძნობებს ხმაურიანი ფრანგები და ამით სასიამოვნო დისონანსი შეჰქონდათ ამ საქმიან ატმოსფეროში. მშვიდი, თავდაჭერილი ინგლისელები სკეპტიკურად, ოდნავ ირონიულად იღიმებოდნენ და წონასწორობიდან გამოდიოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა გადაცემას იწყებდნენ.

ახალგაზრდა ტელეფონისტ გოგონას ერთი წუთითაც არ ჰქონდა მოსვენება — ასე რომ დიდხანს გაგრძელდეს, ალბათ, ჭკუიდან შევიშლებიო — ღიმილით ამბობდა იგი. მისი „მუქარა“ საფუძველს მოკლებული არ იყო. ლონდონი უკვე მეხუთედ იძახებდა თავის კორესპონდენტს, ფრანგული „ეკიპის“ მიმომხილველი სტადიონის ტრიბუნებიდან პრეს-ბიუროამდე იმდენს დარბოდა, რომ მას უკვე თავისუფლად შეეძლო შეჯიბრებოდა რომელიმე სტაიერს.

კორესპონდენტებმა პირველი გადაცემა მატჩის საზეიმო გახსნას მიუძღვნეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ათობით ენაზე გაისმა შეერთებული შტატების მოყვარულთა ატლეტური კავშირის საპატიო მდივნის დ. ფერისის სიტყვები: „სპორტის კარგ მაგალითს, იმედია ყველა დარგში მიბაძავენ“. ასი ათასი მოსკოველი მაყურებელი მხურვალედ მიესალმა ამ მოწოდებას. მხურვალედ მიესალმნენ მას უცხოელი სტუმრებიც.

„შავი ელვა“ — აირა მერჩისონი

ორჯერ გაიელვა მერჩისონმა იმ დღეს ცენტრალურ სტადიონზე და ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. 100 მეტრზე აირამ ოდნავ დაგვიანა სტარტი და ჩამორჩა. მაგრამ აი, ამუშავდა მანქანა მთელი ძალით, ნაბიჯები არც კი ჩანდა, ისე მოძრაობს რაღაც შავი მასა სტარტიდან ფინიშისაკენ. თვალი ვერც ასწრებს გამოდევნებას. გრძნობ მხოლოდ, რომ უხილავი ძალა მიერეკება მორბენალს ფინიშისაკენ, ეს ძალა აირას ფეხებშია.

10,2! ამ მცირე განზომილებასთან არა გვქონია საქმე, ამიტომ ვერც მას ვგრძნობთ. ინტუიციით ვხვდებით მხოლოდ, რომ რბენა ასე მალე არ უნდა დამთავრებულიყო. მერჩისონი კი სხვა აზრისაა. განიერ მკერდზე ზონარჩამოკიდებული მიდის მსაჯებთან, იგებს შედეგს.

10,2!

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე ასეთი დრო არავის უჩვენებია, აირა კი უკმაყოფილოა.

— მოსკოვის ბილიკებზე 10,1 ჩვენებაც შეიძლება! — ჩვენ გვჯერა მისი ყოველი სიტყვა, რადგან მერჩისონმა მოგვცა საამისო საბაბი. ესტაფეტაშიც შეუდარებელი იყო „ჯიბის სპრინტერი“ (ასე ეძახიან აირას სამშობლოში პატარა სიმაღლის გამო).

„შავ ელვას“ შემოეხვივნენ ფოტორეპორტიორები, ავტოგრაფის მისაღებად ტრიბუნიდან დაიძრა მძლეოსნობის მოყვარულთა ერთი რაზმი. მერჩისონი დაიკარგა ალყაში და შეიძლება იგი შეუმჩნეველად გაპარულიყო კიდეც, რომ მოულოდნელად იგი ხელში არ აეტაცა ზანგ სპრინტერ ქალს — ბარბარა ჯონსს. აირამ დარცხვენილად დახარა თავი, ჯონსი კი მხურვალედ ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ულოცავდა მას პირველ გამარჯვებას.

ნ. გუგუშვილი

(გაგრძელება იქნება)

საუკუნის მატჩი

ჟურნალისტის შთაბეჭდილებები

ყოველი მხრიდან

⊙ **ბრიუსელი.** აქ დამთავრდა მსოფლიო პირველობა მშვილდოსნობაში. პირველი ადგილი ვაჟთა შორის დაიკავა შვედმა სპორტსმენმა ტისარმა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ფინელმა მსროლელებმა.

ქალთა შორის უძლიერესი იყო იოჰანსენი (შვეცია). გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა.

⊙ **ბუქარესტი.** ამხანაგური შეხვედრა რუმინეთისა და პოლონეთის მოცურავეთა შორის მოიგეს რუმინელებმა — 159:99. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა რუმინეთის 11 და პოლონეთის 4 ახალი ეროვნული რეკორდი.

⊙ **ლოს-ანჯელოსი.** დიდი ინტერესი გამოიწვია მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩმა ზანგ დ. ფოლეისა და ოლიმპიურ ჩემპიონ პ. რადემაჰერს შორის (ორივე აშშ). მატჩი მე-4 რაუნდში მოიგო ფოლეიმ ტექნიკური ნოკაუტით.

⊙ **პრაღა.** ჩეხი მძლეოსნები გაცხოველებით ემზადებიან ევროპის პირველობისათვის. ახლახან დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატი მძლეოსნობაში, სადაც დამყარებულ იქნა რამდენიმე ახალი ეროვნული რეკორდი. ესტაფეტაში 4×100 მ ვაჟთა ნაკრებმა აჩვენა 40,6 წამი. ვ. პროკოპოვამ 400 მეტრი გაირბინა 55,5 წამში და ქალთა ხუთჭიდში ა. მანდრახოვა-დავიდოვამ დაგროვა 4.323 ქულა. აღსანიშნავია მისი შედეგი სიმაღლეზე ხტომაში — 1 მ 64 სმ.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების 3-90-34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03962